ინტერკულტურული მიდგომები ქართული ენის სწავლებისას ეთნიკურად მრავალფეროვან სასწავლო გარემოში

თეონა ცაგარეიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის დიდაქტიკაში განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის
საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი(ქართული ენა და ლიტერატურა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ნათელა მაღლაკელიძე ,პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი , 2014

სარჩევი

აბსტრაქტი 4

შესავალი

საკვლევი საკითხის აქტუალობა.....4

კვლევის მიზანი.....5

საკვლევი საკითხები.....6

კვლევის ობიექტი.....6

კვლევის ჩატარების დრო.....7

კვლევის მეთოდი.....7

შერჩევის ტიპი.....7

მონაცემთა შეგროვების მეთოდები.....8

კვლევის შეზღუდვები.....9

თავი I

ინტერკულტურული განათლების რაობა და მიზანი

1.1ინტერკულტურული განათლება.....10

1.2 „ინტერკულტურული განათლება“და „მულტიკულტურული განათლება“.....13

1.3 ბილინგვური განათლება და ინტერკულტურული სწავლება.....14

1.4 ინტერკულტურული განათლება და რელიგია.....15

თავი II

ფაქტობრივი მიდგომარეობის ანალიზი

2.1 ინტერკულტურული განათლება საქართველში.....16

2.2 ეროვნული სასწავლო გეგმის ინტერკულტურული ასპექტები.....20

2.3 ქართულის,როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდიკა.....23

2.4 სახელმძღვანელოები.....25

III თავი

ინტერკულტურული განათლების პრობლემები სასკოლო დონეზე

3.1 მოსწავლეთა ტესტირების ანალიზი.....31

3.2 ფოკუსური ჯგუფი მასწავლებლებთან.....34

3.3 IX კლასის მოსწავლეთა ანკეტირება/ტესტირების ანალიზი.....36

დასკვნები და რეკომენდაციები.....40

ბიბლიოგრაფია.....43

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს კვლევას, რომელიც შეეხება ინტერკულტურულ მიდგომებს ქართული ენის სწავლებისას ეთნიკურად მრავალფეროვან სასწავლო გარემოში.კვლევის მიზანს წარმოადგენდა აღწერა და დადგენა იმ სირთულეებისა, რომლებიც არაქართულენოვან სკოლებში ინტერკულტურულ სწავლებას ახლავს, ამ მიმართულებით მასწავლებელთა გამოცდილების შესწავლა - თუ რა სტრატეგიებს მიმართავენ ისინი და შეესაბამება თუ არა ეს სტრატეგიები ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებს. კვლევის მიზანს ასევე წარმოადგენდა კვლევის შედეგებზე დაყრდნობით სათანადო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება,რომლებიც შემდგომში გარკვეულ დახმარებას გაუწევენ როგორც საგნის მასწავლებლებს,ისე ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევარებს.კვლევის სამიზნე ჯგუფს შეადგენდნენ ნინოწმინდის რ-ნ სოფ. გორელოვკისა და წალკის რ-ნ სოფ. ჩივთქილისას სომხური სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები და ქართული ენის მასწავლებლები.აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენდა მასწავლებელთა დამოკიდებულებების დადგენა სახელმძღვანელოებისა და ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სტანდარტებისადმი.მოსწავლეთა ანკეტირება/ტესტირება კი მიზნად ისახავდა მოსწავლეთა ლექსიკური კომპეტენციისა და ინტერკულტურული მგრძნობელობის შესწავლას.